

უკან დაბრუნებულ საქონელზე დღგ-ის ჩათვლის უფლების მიღება 11101

ფაქტობრივი გარემოებები

დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებულმა პირმა, 2015 წლის დეკემბერში იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოაქცია 100 ცალი საათი, რაზეც გადაიხადა საბაჟო დეკლარაციით დარიცხული დღგ-ის თანხა. 2015 წლის დეკემბერში პირმა მოახდინა 70 ცალი საათის მიწოდება X პირზე. პირმა საქონლის მიწოდება არ დაბეგრა დღგ-ით და, შესაბამისად, არ მიიღო ჩათვლა, რამდენადაც საქონლის გაყიდვის მომენტში პირი არ იყო დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული.

2016 წლის მაისის თვეში პირი წებაყოფლობით გახდა დღგ-ის გადამხდელი, რის შემდეგაც დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთზე - 30 ცალ საათზე მიიღო დღგ-ის ჩათვლა.

2016 წლის ივლისის თვეში პირს უკან დაუბრუნდა 2015 წლის დეკემბერში რეალიზებული 70 საათიდან 20 საათი. პირმა დაბრუნებული და დარჩენილი საათები (50 ცალი) მიაწოდა Y პირს და აღნიშნული მიწოდება დაბეგრა დღგ-ით.

იმის გათვალისწინებით, რომ პირმა აღნიშნული მიწოდება დაბეგრა დღგ-ით, როგორც ნაშთად არსებულ 30 ცალ საათზე, ასევე 20 დაბრუნებულზე, მიიღო დღგ-ის ჩათვლა.

შეფასება

სსკ-ის 174-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტის მიხედვით საქონლის შეძენისას, მომსახურების მიღებისას, საქონლის იმპორტისას ან/და საქონლის დროებითი შემოტანისას, მათ შორის, დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთზე.

სსკ-ის 174-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება, თუ საქონელი ან/და მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებულ იქნება დასაბეგრ ოპერაციებში, გარდა ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ პირმა 2015 წლის დეკემბრის თვეში 100 ცალი იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საათიდან 50 გამოიყენა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში, პირს უფლება აქვს, მიიღოს დღგ-ის ჩათვლა, როგორც დღგ-ის რეგისტრაციის მომენტისათვის ნაშთად არსებულზე, ასევე უკან დაბრუნებულზე, რომელიც გამოიყენა ეკონომიკურ საქმიანობაში.

ამასთან, პირი უფლებამოსილია, დაბრუნებულ საქონელზე დღგ-ის ჩათვლა მიიღოს საქონლის დაბრუნების საანგარიშო პერიოდიდან (ივლისის თვიდან).

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც არ არსებობს სსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი

ანოტაცია
„უკან დაბრუნებულ საქონელზე დღგ-ის ჩათვლის უფლების მიღება“ №11101
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელოთი, დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებულმა პირმა, 2015 წლის დეკემბერში იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოაქცია 100 ცალი საათი, რაზეც გადაიხადა საბაჟო დეკლარაციით დარიცხული დღგ-ის თანხა. 2015 წლის დეკემბერში პირმა მოახდინა 70 ცალის მიწოდება X პირზე.

პირმა საქონლის მიწოდება არ დაბეგრა დღგ-ით და, შესაბამისად, არ მიიღო ჩათვლა, რამდენადაც საქონლის გაყიდვის მომენტში პირი არ იყო დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული.

2016 წლის მაისის თვეში პირი ნებაყოფლობით გახდა დღგ-ის გადამხდელი, რის შემდეგაც დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთზე - 30 ცალ საათზე მიიღო დღგ-ის ჩათვლა. 2016 წლის ივლისში პირს უკან დაუბრუნდა 2015 წლის დეკემბერში რეალიზებული 70 საათიდან 20 საათი. პირმა დაბრუნებული და დარჩენილი საათები (50 ცალი) მიაწოდა Y პირს და აღნიშნული მიწოდება დაბეგრა დღგ-ით და, შესაბამისად, როგორც ნაშთად არსებულზე და დაბრუნებულ საათებზე მიიღო დღგ-ის ჩათვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ პირმა 2015 წლის დეკემბრის თვეში 100 ცალი იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საათიდან 50 გამოიყენა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში, პირს უფლება აქვს, მიიღოს დღგ-ის ჩათვლა, როგორც დღგ-ის რეგისტრაციის მომენტისათვის ნაშთად არსებულზე, ასევე უკან დაბრუნებულზე, რომელიც გამოიყენა ეკონომიკურ საქმიანობაში.

ამასთან, პირი უფლებამოსილია, დაბრუნებულ საქონელზე დღგ-ის ჩათვლა მიიღოს საქონლის დაბრუნების საანგარიშო პერიოდიდან (ივლისის თვიდან).